ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს
კიბერუსაფრთხოების ეროვნულ ასოციაციასა

და

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI)

შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი 18 ნოემბერი 2021

ერთი მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კიბერუსაფრთხოების ეროვნული ასოსციაცია (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405485513, მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., N15, ბ.4) (შემდგომში „NCSA") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ნიკოლოზ გაგნიძის (პირადი ნომერი: 01024013023) მიერ და მეორე მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204569617, მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბ.კრავეიშვილის ქ., N4, ბ.18) (შემდგომში „IDFI") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი კლდიაშვილის (პირადი ნომერი: 01017005502) მიერ გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

1.1 წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ორგანიზაციებს შორის დამყარდეს მჭიდრო, ხანგრძლივი, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებაზე დაფუძნებული პარტნიორული ურთიერთობა, რომელიც ხელს შეუწყობს კიბერსაფრთხეებისა და კიბერინციდენტების მიმართ ინფორმაციული საზოგადოების მდგრადობის ამაღლებას, ციფრული ტრანსფორმაციის, ციფრული მმართველობის, კვალიფიციური სანდო მომსახურების, პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით ინფორმაციული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და მოემსახურება ისეთ მიზნებს, როგორიცაა:

ა) კიბერუსაფრთხოებისა და ციფრული მმართველობის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და ცალკეული აქტივობების ორგანიზება და ჩატარება, ინფორმაციული საზოგადოების კიბერ კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ბ) კიბერ საფრთხეებისა და ინციდენტების მიმართ ინფორმაციული საზოგადოების მდგრადობის ამაღლების ხელშეწყობა;

გ) კიბერუსაფრთხოებისა და ციფრული მმართველობისა საკითხებზე ინფორმაციული შეხვედრების, სწავლებისა და ტრენინგების ერთობლივი ორგანიზება;

დ) კიბერუსაფრთხოებისა და ციფრული მმართველობის ხელშემწყობი მიმართულებების პოპულარიზაცია, სამართლებრივი გარემოს ანალიზი;

ე) კიბერუსაფრთხოებისა და ციფრული მმართველობის საკითხებთან დაკავშირებით ევროკავშირის რეგულაციებისა და დირექტივების, მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა, განხილვა და პოპულარიზაცია;

ვ) ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის, მიწოდებისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.

1.2 აღნიშნული მიზნების მისაღწევად მხარეები თანხმდებიან დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებები, რაც, მათ შორის, შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციათა ადამიანური და ფინანსური რესურსების გაერთიანებას. თანამშრომლობის კონკრეტული დეტალები, მათ შორის ორგანიზაციათა კონკრეტული პასუხისმგებლობები დაზუსტდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი (მათ შორის ოფიციალურ ელ-ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინების სახით) ან ზეპირი კომუნიკაციის საფუძველზე.

1.3 წინამდებარე მემორანდუმი განსაზღვრავს ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ზოგად პრინციპებს. ორმხრივი ნების არსებობის შემთხვევაში, წინამდებარე მემორანდუმი შესაძლოა გახდეს საფუძველი შემდგომში მხარეთა შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებისათვის.

მუხლი 2. მხარეთა უფლებამოსილებები

მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. მხარეები თანამშრომლობენ კიბერუსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ჩატარების კუთხით, რაც გულისხმობს ინფორმაციული შეხვედრების, სწავლებისა და ტრენინგების ორგანიზებასა და ჩატარებას, „NCSA"-სა და „IDFI"-ში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების სხვადასხვა ფორმით გაზიარების ხელშეწყობას.

2. მხარეთა თანამშრომლობა ასევე გამოიხატება კიბერუსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული, ერთობლივი კვლევების განხორციელებაში.

3. „IDFI" „NCSA"-ს მხარდაჭერას უცხადებს კიბერუსაფრთხოების საკომუნიკაციო სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განისაზღვრელი ვადით.

3.2 მხარეები უფლებამოსილნი არიან, ობიექტური გარემოების არსებობისას, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება, მეორე მხარისთვის არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი ან ელექტრონული შეტყობინების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული გადაწყვეტილება ხელს უშლის მხარეთა მიერ პარტნიორობის ფარგლებში წარმოებული ერთობლივი საქმის/პროექტის/გეგმის ჯეროვნად განხორციელებას, რის გამოც ზიანი ადგება მეორე მხარეს ან მესამე პირთა ინტერესებს, მხარე ვალდებულია ბოლომდე შეასრულოს მიმდინარე საქმის/პროექტის/გეგმის ფარგლებში მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობები ან იპოვოს მისი შემცვლელი, რომელიც იმავე ხარისხით და მასშტაბით შეძლებს ამ პასუხისმგებლობების აღსრულებას.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1 მემორანდუმი დაფუძნებულია მხარეთა კეთილ ნებაზე და არ ითვალისწინებს ფინანსურ ვალდებულებებს მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის პროცესში. მემორანდუმის შესრულებისას მხარეები ხელმძღვანელობენ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებით. მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთთან აწარმოონ ღია და ოპერატიული კომუნიკაცია, ასევე ერთმანეთში გაცვალონ ყველა ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მემორანდუმის მიზნების წარმატებით განსახორციელებლად.

4.2 მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მხარეებს შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

4.3 საჭიროების შემთხვევაში მხარეებს შორის თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და სფეროები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ცალკე ხელშეკრულებით/შეთანხმებით.

4.4 მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეტანილ იქნეს წერილობითი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

4.5 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

4.6 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოშობს მხარეთა შორის რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებებს.

მუხლი 5. მხარეთა რეკვიზიტები

კიბერუსაფრთხოების ეროვნული ასოციაცია (NCSA)	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
ს/კ: 405485513	ს/კ: 204569617
თავმჯდომარე: ნიკოლოზ გაგნიძე	აღმასრულებელი დირექტორი: გიორგი კლდიაშვილი
Nikoloz Gagnidze Digitally signed by Nikoloz Gagnidze Date: 2021.11.18 11:48:45 +04'00'	